ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

9 (9949) • 12 marti • 2012 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

საკრებულოს სხდომაზე

გაზეთი „ალიონი“

7 მარტს საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელმაც თხუთმეტამდე საკითხი განიხილა.

პირველ საკითხად ოზურგეთში 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განიხილეს.

თებერვალში სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ღირებულებიდან მიღებული შემოსავალი 14700 ლარი. მიღებული შემოსავლიდან დაფინანსდა სარეზერვო ფონდი 10000 ლარით; გამგეობის ტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების შეძენა– 1000 ლარით; განათლების ხელშეწყობის პროგრამა–3700 ლარით.

განიხილეს ბიუჯეტით გამოყოფილი თანხებიდან მუხლობრივი ცვლილებები. მაგ. გამგეობის ხელმძღვანელობის სახელფასო მუხლიდან 5400 ლარი საპრემიო მუხლში გადაიტანეს, ხოლო 400 ლარი კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯებში.

საკრებულოს სხდომის წინა დღეებში საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა ჩატარდა, რომელმაც ოზურგეთის კომუნალური მომსახურების ცენტრის, სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის და ისტორიული მუზეუმის სტრატეგიული განვითარების გეგმები განიხილეს. ეს პროექტები ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის პროექტის ფარგლებში მომზადდა და საინტერესოდაა წარმოდგენილი ამ ორგანიზაციების 2012-2017 წლების ხედვები და პერსპექტივები. საკრებულოს სხდომაზე აქედან ორი გეგმა დამტკიცდა, ხოლო მუზეუმის სტრატეგიული განვითარების გეგმას მომავალ სხდომაზე განიხილავენ. სხდომამ სხვა საკითხებიც განიხილა და დაამტკიცა.

„მე ქალი ვარ“, სახლებში ჩაკარგული მარგალიტები

ნინო ნიკოლაიშვილი

გვ-2

რიჩარდ ლუგარი აშშ-ის პრეზიდენტს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავებისკენ მოუწოდებს

ამერიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი ბარაქ ობამას ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავებისკენ მოუწოდებს. როგორც ლუგარის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ამის შესახებ სენატორის მიერ მომზადებულ ნატო-ს გაფართოების შესახებ კანონპროექტშია ნათქვამი.

კანონპროექტი, ალიანსის გაფართოებასთან ერთად, მოკავშირეებთან აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებას ეხება.

ლუგარს მიაჩნია, რომ ნატო-ს წევრობის პერსპექტივამ აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთის რეგიონში გააუმჯობესა არა მხოლოდ უსაფრთხოება, არამედ სახელმწიფოები ეკონომიკური და უსაფრთხოების სფეროში აშშ-ის უფრო მჭიდრო პარტნიორებად აქცია.

ლუგარის კანონპროექტის მიხედვით, კიდევ ერთხელ უნდა დადასტურდეს ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა ყველა კომპეტენტური ქვეყნისთვის და უარყოფილ იქნას გავლენათა სფეროების ცნება.

„აშშ-ის კანონმდებლობაში გაცხადდეს, რომ ნატო-ს წევრობის მსურველი ოთხივე ქვეყანა (ბოსნია და ჰერცოგოვინა, საქართველო, მაკედონია და მონტენეგრო) უნდა ჩაითვალოს ნატო-ს წევრობის „პრეტენდეტებად" (ასპირანტს)", - ნათქვამია კანონპროექტში.

დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში ასევე დაფიქსირებულია მოწოდება აშშ-ის პრეზიდენტის ბარაქ ობამას მიმართ.

„კანონპროექტი მოუწოდებს პრეზიდენტ ობამას, 2012 წლის ჩიკაგოს სამიტისთვის უზრუნველყოს გასაგები საგზაო რუკა ნატო-ში ბოსნია და ჰერცოგოვინას, საქართველოს, მაკედონიისა და მონტენეგროს შესვლასთან დაკავშირებით", - აღნიშნულია კანონპროექტში.

დოკუმენტში ლუგარი ასევე მოუწოდებს აშშ-ის კონგრესს, ხელი შეუწყოს ნატოს გაფართოებას და ამერიკის პოლიტიკას საქართველოს სუვერენიტეტისა ფა ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის საკითხში.

რიჩარდ ლუგარი ნატო-ს გაფართოებას 1990 წლიდან აქტიურად უჭერს მხარს. მას ალიანსში პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, ბულგარეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთის, სლოვაკეთის, სლოვენიიის, ალბანეთის და ხორვატიის შესვლის პროტოკოლები აქვს წარდგენილი.

„ქალი მსგავსი გაზაფხულის“

ნინო ნიკოლაიშვილი

– ყველა ქალი (დედა) მსგავსია ღვთისმშობლისა, არასოდეს არ გაფერმკრთალებულიყოს ეს მსგავსება. ეს უდიდესი მადლი და წყალობაა ღვთისა. – ლამაზი სიტყვებით და მხიარული განწყობით მიმართავდნენ წამყვანები: მსახიობი ზაზა ჯინჭარაძე და ჟურნალისტი ეკატერინე მგელაძე რესტორან „გურიაში“ შეკრებილ ქალბატონებს, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის სამსახურისა და კულტურის ცენ-

გვ-2

მომავალი კვირის განმავლობაში არამდგრადი ამინდი შენარჩუნდება

მომავალი კვირის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით არამდგრადი ამინდი შენარჩუნდება. როგორც "ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვის სამინისტროს პროგნოზირების ცენტრის სინოპტიკოსმა, თამარ პაპაშვილმა განუცხადა, 16 მარტის ჩათვლით დასავლეთ საქართველოში იწვიმებს. ტემპერატურა ხვალ ღამით მინუს 2 +3 გრადუსი, 13 და 14 მარტს კი +1 +6 იქნება, დღისით კი +6 +11 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი.

აღმოსავლეთ საქართველოში ხვალ, ნალექია ნავარაუდევი, უმეტესად თოვლის სახით, 13 და 14 მარტს კი თოვა მხოლოდ ზოგიერთ რაიონში შენარჩუნდება.

დღეს, ტემპერატურა 0-დან 5 გრადუსამდე იქნება, ღამით კი მინუს 7 მინუს 2, 13 და 14 მარტს დღისით 7-დან 12 გრადუსამდე გათბება, ღამით მინუს 3 +2 გრადუსია ნავარაუდევი.

ნალექთან ერთად მთელს საქართველოში ხვალ, აღმოსავლეთის ძლიერი ქარი იქნება, რომლის სიჩქარე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში 30 მეტრს წამში, ხოლო აღმოსავლეთში - 20-25 მეტრს წამში მიაღწევს.

15 მარტიდან სინოპტიკოსები ისევ არამდგრად და ცივ ამინდს პროგნოზირებენ.

დასავლეთ საქართველოში უამინდობამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა.

უამინდობის გამო ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის მონაკვეთზე.

ადგილზე მობილიზებულია საგზაო დეპარტამენტის ტექნიკა. გაწმენდითი სამუშაოები ამინდის გაუმჯობესებისთანავე დაიწყება.

ცუდი ხილვადობის გამო, რიკოთის უღელტეხილზე მოძრაობა აეკრძალა ტრაილერის ტიპის ავტომანქანებისთვის, რის გამოც სატვირთო მანქანები ხაშურთან არიან გაჩერებულები.

სინოპტიკოსების განცხადებით, დასავლეთ საქართველოში, სამი დღის განმვალობაში ნალექი შენარჩუნდება, შემდეგ კი ძლიერი ქარი იქნება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

12 მარტი, ორშაბათი	13 მარტი, სამშაბათი	14 მარტი, ოთხშაბათი	15 მარტი, ხუთშაბათი	16 მარტი, პარასკევი	17 მარტი, შაბათი	18 მარტი, კვირა
წვიმა +7+11	წვიმა +6+11	წვიმა +3+11	წვიმიანი თოვლი +1+5	წვიმიანი თოვლი -1+3	წვიმიანი თოვლი -1+3	მზე +6+8

„ქალი მსგავსი გაზაფხულის“

ტრის ინიციატივით გაიმართა.

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან წარმოდგენილი ქალბატონებისთვის, მათი დამსახურების მიხედვით, სხვადასხვა ნომინაცია იყო დაწესებული და მათ საჩუქრები გადასცეს. მრავალშვილიანი დედა - **შორენა სალუქვაძე;** ექიმი **ნანა ტრაპაიძე;** მეცნიერ-მუშაკი - **მანანა ლომაძე;** საჯარო მოხელე - **მზია ნინიძე;** ბიბლიოთეკარი- **ციური მოისწრაფიშვილი;** მსახიობი - **მარგო ავაქიანი;** მედდა - **ლენა ტულუში;** სახელოვანი დედა — **თინა გოგუაძე** (ალექსანდრე ტულუშის დედა); პედაგოგი (მუსიკალურ დარგში) - **ეთერ შარაშიძე;** დიზაინერ-დეკორატორი **რუსუდან მდინარაძე;** კურიერი - **ნინა მახარაძე;** ინსპექტორ-გამომძიებელი - **ნანა მამეიშვილი**; მეეზოვე - **ნაზი ტიკარაძე;** ბოხვაურის საჯარო სკოლის დირექტორი- **თამარ ყურაშვილი;** პედაგოგი - **ჟუჟუნა გობრონიძე.** კარგი იქნებოდა, ღვაწლმოსილ ქალბატონებს შორის, მოწვეული ყოფილიყო ორიოდე ღვაწლმოსილი ჟურნალისტი ქალბატონი, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით ჟურნალისტიკის განვითარებაში და არა მარტო ჟურნალისტიკისა.

ღონისძიება გაალამაზეს ადგილობრივმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა. ანსამბლი „მუხამბაზი“ (ხელ-ლი ნატალია ხომერიკი); კვარტეტი „ჰარმონია“; ანსამბლი „ლურჯი იალქანი“ შემსრულებლები: ნატალია ხომერიკი, ეკა ჭელიძე, ავთო მჟავია, რეზო ხომერიკი, ლალუკა ღლონტი, ლევან კვინტრაძე, მარეხი მჟავანაძე, მაია თოთიბაძე. მათი სიმღერები არანაკლებ უხდებოდა ღონისძიებას და ქალაქს, როგორც ზოგიერთი მოწვეული სტუმრის გამოსვლა სხვადასხვა დღესასწაულზე — გამოითქვა დარბაზში ასეთი აზრი.

„მე ქალი ვარ“, სახლებში ჩაკარგული მარგალიტები

ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში ქალთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. . გამოფენა გაიმართა ა (ა) იპ-„ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ (ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი)და სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს პოლონელი მოხალისეების იურგა კრაუზლიტის, იოლანდა გოზდზიკის, აგატა ვესოლოვსკის, იაკუბ სევერინის ინიციატივით.

თამარ ლომთათიძის, მარეხი გობრონიძის, ნათია შათირიშვილის, იამზე ძიძიგურის, ცისანა ღლონტის, ლია გოგოლიშვილის, მაია სადრაძის, აზა რუსიეშვილის, ნინო ფიჩხაძის, ნათია გორდელაძის, შორენა კიკუტაძის, ქეთინო გობრონიძის, ნანა ბასილაშვილის, მანანა კიკაბიძის, მაია თავამაიშვილის, ლეილა გორგაძის, ქეთინო ცეცხლაძის, მაია ართმელაძის, ქეთინო ღლონტის, იამზე ირემაძის, ეკა ჭელიძის, ნაზი ირემაძის, ჯული კეთილაძის, ნინო ხომასურიძის, ეკა ბარამიძის, ნინო კეჭაყმაძის ნამუშევრები, სხვადასხვა მასალითა და თემატიკით შესრულებული, სასიამოვნო გარემოს ქმნიდა გალერეის დარბაზში. საინტერესო იყო ნასაკირალელი ქალების ნამუშევრები, რომელშიც ერთმანეთთანაა შერწყმული ქართული და აღმოსავლური სტილი.

— ჩემი ოჯახის გასალამაზებლად ვაკეთებდი ყველაფერს და საბოლოო ჯამში რაღაც გამოვიდა — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ლია გოგოლიშვილმა.

გამოფენის ორგანიზატორმა ქეთევან ხიდაშელმა ქალთა უფლებებსა და მძიმე შრომაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ქალი საზოგადოებრივ საქმიანობაში მეტად უნდა იყოს ჩაბმული. — ქალისთვის მხოლოდ ოჯახში ფუსფუსი არ არის საკმარისი. ეს დღე ნიშნავს ქალს მეტი ამბიცია ჰქონდეს საზოგადოებრივი აქტიურობისა.

მაია ბერიძე, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ხელმძღვანელი გურიის რეგიონში. : — მძიმე შრომის გარდა ქალები ახერხებენ ასეთი ნამუშევრების შექმნას და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— ქალს შუძლია დაიკავოს მაღალი პოსტი. ამის მაგალითი მე თავად ვარ და არაფერში არ მიშლის ხელს, რომ ქალი ვარ — მიმართა შეკრებილთ პოლონეთის ელჩმა ურსულა დოროშევსკამ და მადლობა გადაუხადა მეუღლეს თანადგომისათვის. ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს: გოჩა შანიძემ, ილო ვაშაყმაძემ, ალეკო მამეშვილმა, მიშა გოგოტიშვილმა, ლალი ბასილაშვილმა.

ლიტერატურული კონკურსი შეჯამდა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ეგიდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლებში ლიტერატურული კონკურსი ჩატარდა, რომელსაც მოსწავლეთა საუკეთესო ნაშრომები უნდა გამოევლინა. ჟიურის (ნინო სვანიძე, დათო ლაღიძე, მანანა ქილიფთარი) არაერთი ნაშრომის განხილვა მოუწია, რომ საბოლოოდ გამარჯვებულები გამოევლინა.

ჟიურის წევრის, ჟურნალისტ მანანა ქილიფთარის თქმით, არ შეცვლილა მოსწავლეების დამოკიდებულება ცოდნისადმი, „ვეფხისტყაოსნისადმი,“ მაგრამ რაც ამ ნაშრომებს აკლდა, ეს არის გულწრფელობის დეფიციტი და გადატვირთულია არა მოსწავლეების, არამედ სხვისი მოსაზრებებით. თუმცა, მიუხედავად ამ შენიშვნებისა, მოსწავლეებმა კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს.

კონკურსის სპონსორები იყვნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, „გზამშენი 18-ის“ დირექტორი თემურ ჯახვა, ოზურგეთის დრამატული თეატრის დირექტორი ზაზა ჯინჭარაძე, და იურისტი ია მემარნიშვილი. მათ ფასიანი საჩუქრები გადასცეს გამარჯვებულ მოსწავლეებს.

დაჯილდოებულთაგან პირველ სამეულში შევიდნენ: ბექა მექვაბიშვილი (№4 სკოლა), ლევან თედორაძე (№2 სკოლა), სალომე აკობიძე (ნატანების სკოლა).

მოსწავლეებს გამარჯვება მიოლოცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა, გამგებელმა ილო ვაშაყმაძემ, ნაციონალური მოძრაობის პრესსპიკერმა ლია კილაძემ.

გაზაფხულის დღესასწაულები ქალთა კლუბის წევრებს მიულოცეს

ნინო ნიკოლაიშვილი

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ფონდ„ სოხუმის“ ქალთა კლუბის წევრების შეკრება სარვამარტოდ გაიმართა და ოზურგეთელ ქალებს ფონდმა ამ დღის აღსანიშნავად სიურპრიზიც მოუმზადა. შეკრებაზე კლუბის მოდერატორმა ნანა კეკელიძემ, წევრებმა ქეთევან ქადიეშვილმა, მარინა კიპაროიძემ და ამ წერილის ავტორმა ისაუბრეს თემებზე: რვა მარტი; როგორ ხვდებოდნენ ძველად რვა მარტს; ქალთა მოძრაობა საქართველოში და ქალთა ორგანიზაციები. შეკრებაზე ქალებს სარვამარტო საჩუქრები და ყვავილები გადასცეს.

ყველაზე საამაყო შვილები

მარი კოპოევი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოაწყვეს. სამ მარტს არა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, ექვს მარტს დღის ცენტრის ბენეფიციარებმა მათთვის ქვეყნად ყველაზე საყვარელ ქალბატონებს დღესასწაული კონცერტით მიულოცეს. იმ დღეს მათ მიერ წაკითხული ყველა ლექსის, ყველა ნამღერი სიმღერის ადრესატები საკუთარ შვილებს დარბაზიდან გულშემატკივრობდნენ და აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ. თითოეულ მათგანს სიამაყე ეტყობოდა, სიამაყე იმის გამო, რომ ასეთი კარგი შვილები ჰყავთ.

სცენიდან საოცარი სითბო, დადებითი ემოცია მოდიოდა და მას ნამდვილად გრძნობდა მაყურებელი, რომელთა რიგებში ვიყავით ჩვენ, ისინი ვისაც ამ ბავშვების ნიჭიერება უკვე აღარ გვაკვირვებს და არა მარტო ჩვენ. ორგანიზაციას იმ დრეს უცხო სტუმრები ესტუმრნენ. ბათუმის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრიდან იგივე სახის ორგანიზაციას ოზურგეთში გაცნობის მიზნით ესტუმრნენ. ცენტრის ბენეფიციარები, მასწავლებლები და ხელმძღვანელი, ნანა საყვარელიძე ღონისძიებას დაესწრნენ. ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნეს და შემდგომი ურთიეთობის გეგმებიც დასახეს. შეთანხმდნენ რომ მეგობრობას მომავალში აუცილებლად გააგრძელებენ. ნანა საყვარელიძემ ოზურგეთის ორგანიზაციის ბენეფიციარები ბათუმში დაპატიჟა „პირველ ივნისს, ბავშთა დღეს ბათუმში გეპატიჟებით" უთხრა ბავშვებს მან, რაზეც აქაურებისგან პირობა მიიღო.

გათბობის სისტემები გურიის სკოლებში

ნუგზარ ასათიანი

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ერთი წლის განმავლობაში ახორციელებდა პროექტს „ბავშთა უფლებების მონიტორინგი“, რომელიც გურიის სკოლებში გათბობის სისტემების ფუნქციონირებას შეეხებოდა.

როგორც პროექტის პრეზენტაციაზე ლევან მჟავანაძემ თქვა, მონიტორინგის მიზანი იყო გამოგვევლინა, რამდენად არის დაცული საჯარო სკოლებში ბავშვთა უფლებების კონვეციის 28-ე მუხლში დეკლარირებული საკითხები, ანუ შექმნილია თუ არა სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშემწყობი პირობები ზამთრის თვეებში. ამ მიზნით, შერჩეული იყო რეგიონის ქალაქების და სოფლების 25 საჯარო სკოლა და მონიტორინგის პროცესში და ანგარიშის მომზადებისას გამოიყენეს შემდეგი მეთოდები: დოკუმენტაციის ანალიზის, ბენეფიციართა ანკეტირების, ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა და ინტერნეტ კვლევა.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქის ტიპის 9 სკოლიდან, მხოლოდ 5-ში არის დამონტაჟებული ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა. შესწავლილი სკოლებიდან ორში შეშასთან ერთად გასათბობად ელექტროენერგიასაც იყენებენ.

სხვადასხვა სკოლები მკვეთრად განსხვავებულ პირობებში არიან: არიან სკოლები, რომლებიც ერთი მოსწავლის გათბობაზე 38 თეთრს ხარჯავენ, მაშინ, როცა ასევე არიან სკოლები, სადაც გასათბობად მხოლოდ 4 თეთრი იხარჯება.

კვლევამ განამტკიცა ვარაუდი, რომ ზამთრის თვეებში სწავლა-სწავლების პროცესი დროში გაცილებით შეზღუდულია და ნაკლებად აქტიურია სწავლების მხრივ, რაც იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ განათლება არ არის პრიორიტეტული დარგი; სკოლების დაფინანსების დღევანდელი სისტემა არასამართლიანია და დახვეწას მოითხოვს. რის გამოც სხვადასხვა სკოლა სხვადასხვა პირობებშია.

პროექტის ავტორების რეკომენდაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გადახედოს სკოლების დაფინანსების არსებულ მოდელს და ცვლილებები შეიტანოს მასში, რათა ის ქმედითუნარიანი გახდეს და რეალურად შეძლოს სკოლაში არსებული ყველა საჭიროების დაფინანსება.

ახალი სპექტაკლი თეატრში

გასულ პარასკევს ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მორიგი პრემიერა გაიმართა. წარმოდგენილი იყო აქვსენტი ცაგარელის „ონბაზი,“რომლის დადგმა რეჟისორმა შოთა ბაბილოძემ (მასვე ეკუთვნის სცენოგრაფია) განახორციელა.

საინტერესო სახეები შექმნეს გიორგი დოლიძემ (თავადი ალექსანდრე), თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ქეთი ცეცხლაძემ (სონა), თეა ჯიჯიეშვილმა (მოსამსახურე მაშო) და ვახტანგ ჩხარტიშვილმა (პრიკაშჩიკი).

სპექტაკლი მუსიკალურად ნინო გარაყანიძემ გააფორმა, ქორეოგრფია მარიკა ქვეითაიას ეკუთვნის.

უნდა აღინიშნოს,რომ მიუხედავად უაღრესად ცივი ამინდისა,ერთგული მაყურებელი ჰყავდა პრემიერას. სპექტაკლს პარლამენტარი გოჩა შანიძე და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

წერილი რედაქციას

გაზეთ „ალიონის“ რედაქტორს, ბატონ ნუგზარ ასათიანს

ბატონო ნუგზარ, ჩემი ნათლობა „ჟურნალისტიკაში“ წლების წინ, ჯერ გაზეთმა „გურია ნიუსმა“და შემდეგ „გურიის მოამბემ“ იკისრა. მათ თითქმის ერთდროულად გამოაქვეყნეს ჩემი პირველი სტატია, „სოფლის (ცოდვის) ტვირთი.“შემდეგ პერიოდულად, როცა გული გასკდომამდე მიდიოდა, რაღაცას ვწერდი...დიდ მადლობას ვუხდი ორთავე გაზეთს მეგობრობისა და თანადგომისათვის.

„ალიონი“ ბრძანდება ის გაზეთი, რომელმაც სამხატვრო გალერეაში, საშემოდგომო გამოფენაზე 30-მდე მხატვრის ნამუშევარს შორის, ბატონი ავთანდილ თავართქილაძის და ჩემი ნამუშევარი მოიწონა და დაბეჭდა. უღრმესი მადლობელი ვარ, ჩემი მოკრძალებული ხელოვნების თანადგომისთვის...და მეც გავთამამდი და ეს საკმარის მიზეზად მივიჩნიე, რომ „ალიონიც“ ჩემი მეგობრობით დავსაჯო...და ვთხოვო, იქნებ დაბეჭდონ ჩემი–„გრიფით საიდუმლო,“რომელიც ჩემი სულის ამოძახილია.

ვინმემ ისე არ გაიგოს, რომ მე დასაკარგი არაფერი მქონდეს, მე მყავს ყველაზე მატერიალურ დასაკარგზე უძვირფასესი –ანგელოზი შვილი და შვილიშვილი. სწორედ ჩემი შვილისათვის, თქვენი შვილისთვის და სხვისი შვილისთვის ვირჯები,–მათ არ გაუტყდეთ გული და არ იფიქრონ, რომ ამ ქვეყანაში ყველა მშიშარა, ლაჩარი და უღირსებია, რომ არ იფიქრონ გურია მოკვდა, რომ გურულებს გონება და კალამი მოუჩლუნგდა.

„გრიფით საიდუმლო“

გურიის ტელევიზიით მოვისმინე ბატონ თემურ სალუქვაძის განცხადება მონიტორინგის ჯგუფის შექმნის აუცილებლობაზე, რათა მოხდეს ე.წ. „გურიის განვითარების ფონდის“თანხების ხარჯვის გამჭირვალობა. მან ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ ეს თანხები არის ხალხის. მე დავამატებდი – ეს თანხები მართლაც, როგორც არასდროს ყოფილა, ისეა ხალხის. თითოეული ოჯახი პირდაპირ თუ ირიბად, არაერთგზის დაყაჩაღებულია და ამ ქმედებაში ხელისუფლებას, კამპანიურობას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ.

ბატონი თემურ სალუქვაძის ეს ინიციატივა ნამდვილად ძალიან დროული და საჭიროა, რომ არ განმეორდეს აგერ გუშინდელი წარსული, როცა ისეთივე–„განვითარების ფონდი“გურიის რეგიონში, მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაკავებული იყო ამაომრჩევლების 5-სნებად დაწინაურებით...

ბატონი თემური და ასევე კიდევ სხვა ღირსეული და კომპეტენტური პიროვნებები ერთობლივად არ დაუშვებენ, რომ ერთი თეორიც არამიზნობრივად დაიხარჯოს.

საზოგადოებას ვთხოვ, გამოიჩინოთ მეტი გონიერება და პასუხისმგებლობა. ნუ დავირაზმებით სამათხოვროდ ყველა, განურჩევლად იმისა, გვშია თუ გვწყურია, გვცივა თუ არ გვცივა, გვტკივა თუ არ გვტკივა; დავფიქრდეთ, საიდან უნდა მოდიოდეს ეს ფული, ვინ იძლევა მუქთად რაიმეს, რას ვაწარმოებთ და რის ექსპორტს ვეწევით ისეთს, ვალუტა და თვალ-მარგალიტი რომ გვიჩხრიალებდეს საჭურჭლეში; თორემ ძლიერნი ამა (მათთვის) პროექტისანი თავისთვის გამოსავალს ყოველთვის იპოვიან, ისევ გამოიგონებენ ჯანყს, ბუნტს და ისევ ხალხზე გადაივლის სისხლის და ცრემლის წვიმები...და შემდეგ, ოკეანის გაღმელ-გამოღმელები დახმარებას რომ გამოგზავნიან, საიქიოში აღარ გამოგვადგება. გავიხსენოთ „ვისი გორისა“ვართ. გურიის ქვეყანა ხომ ღირსეულთა სავანე იყო ყოველთვის. დადგა დრო, ქუდზე კაცისა. დათა თუთაშხია გვჭირდება დარჩენილის გადასარჩენად, მანდილის და ღირსების დასაბრუნებლად! გურია, სამშობლო გვეძახის!!!.. „სოს“...

მამულზე ფიქრით და ზღვა სიყვარულით

ნანა (ნანული) ჭანუყვაძე.

ჩვენი ტრადიციები

ამასწინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა ასეთი ანეგდოტი მომიყვა:–ერთ ქართველ კაცს კარებზე მიუკაკუნეს, მაგრამ ის კარებს არ აღებდა. როცა კაკუნი არ შეწყდა, იგი იძულებული გახდა, კარი გაეღო. როგორც კი კარი გააღო, ორმა პიროვნებამ სახეზე ნიღაბი გაიკეთა და პატრონს სახლში შესვლა უბრძანა. როცა მასპინძელი მიხვდა, რაც ხდებოდა, გაეღიმა და მშვიდად უთხრა მოძალადეებს–მობრძანდით, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ყაჩაღები ყოფილხართ, მე შევშინდი, სტუმრები მეგონეთ და სახლში თითქმის არაფერი მაქვს სტუმრების მისაღებად და თქვენ თუ რამეს ნახავთ, წაიღეთ, ღმერთმა შეგარგოთო.

ეს ანეგდოტი თანამედროვე ახალგაზრდებმა შეიძლება ვერც გაიგონ, რადგან სტუმართმოყვარეობა და სტუმრის გამასპინძლება თანდათან კნინდება, რაც უაღრესად სამწუხაროა.

მე მინდა ჩემი ცხოვრების ისტორიიდან რამდენიმე მაგალითი მოგიყვეთ ქართულ სტუმართმოყვარეობაზე და ქართული სუფრის დიდებულ ტრადიციებზე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში მე გახლდით ანასეულის ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

მოგეხსენებათ, იმ პერიოდში საქართველო უამრავი სტუმრის მასპინძელი გახლდათ. მათ შორის, რა თქმა უნდა იყვნენ უცხოელებიც.

ერთხელ გვესტუმრა ფრანგი სპეციალისტი ლეონ პრიფტი, რომელსაც ერთვიანი სტაჟირება უნდა გაევლო და დეტალურად გასცნობოდა ჩაის დეგუსტაციას. იგი ჩვენს ოროთახიან სასტუმროში მოვათავსეთ და შემდეგ შედგა სია, თუ რომელ დღეს, ვის ოჯახში უნდა წასულიყო სადილზე ან ვახშამზე.

სამი დღის შემდეგ პრიფტი ჩემთან შემოვიდა და მორიდებით მითხრა (რუსულს კარგად ფლობდა):–ბატონო არსენ, ყოველდღე ასეთი დიდებული სადილის ან ვახშამის გადახდის საშუალება მე არ მაქვს და თუ შეიძლება სასადილოში ვისადილებო...

–არავინ არაფერს გახდევინებს, თქვენ სტუმარი ხართ და გპატიჟებენ მეთქი–ვუთხარი მე.

მან რათქმა უნდა ჩემი ახსნა ვერ გაიგო, მხრები აიჩეჩა და კაბინეტიდან გავიდა. სტუმრიანობა კი, რა თქმა უნდა გაგრძელდა.

ორი დღის შემდეგ ის ისევ შემოვიდა ჩემს კაბინეტში და ასევე მორიდებით მითხრა:–სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს უცნობი ხალხი ყოველდღე რატომ მპატიჟებენ და ბოლოს მივხვდი.

–რა მიხვდით მეთქი,–ვკითხე მე.

–ისინი თქვენი თანამშრომლები არიან და თქვენ, როგორც დირექტორს გპატიჟებენ და მეც ამ „სოუსში“გავდივარო.

–ვერ გაგიგიათ სწორად ბატონო ლეონ. თქვენ უჩემოდაც რომ მიხვიდეთ ნებისმიერ ქართულ ოჯახში სტუმრად, ასევე მიგიღებენ და გაგიმასპინძლდებიან მეთქი,–ვუპასუხე მე.

–მაგას ნამდვილად ვერ დავიჯერებო,–გაოცებულმა მიპასუხა.

–მაშინ ასეთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ მეთქი,– შევთავაზე მე. –აი, ჩავსხდეთ მანქანაში, წავიდეთ ნებისმიერი მიმართულებით, და თქვენ თვითონ აირჩიეთ სახლი, ხომ არ შეიძლება ყველა სახლში ნაცნობი მყავდეს მეთქი,–ვუთხარი.

იგი სიამოვნებით დამთანხმდა ამ წინადადებაზე და ჩვენ გავწიეთ ლიხაურის მიმართულებით. გავცდით ცენტრს და გზა გავაგრძელეთ ნიაბაურის მიმართულებით. შემოდგომის პერიოდი გახლდათ და თითქმის ყველა ოჯახში მოტეხილ სიმინდს არჩევდნენ და ჭირნახულს აბინავებდნენ. მან ისეთი სახლი აირჩია, რომლის ეზოში რამდენიმე პირი სიმინდს არჩევდა. მე ჭიშკართან მივედი და მასპინძელო-მეთქი–დავიძახე. ჩემსკენ სწრაფი ნაბიჯით ქალი გამოემართა, ალბათ ამ ოჯახის დიასახლისი იყო. მე მას მორიდებით ვუთხარი, რომ უცხოელ კაცს უნდოდა მათი ოჯახის გაცნობა. მან ფართოდ გაგვიღო ჭიშკარი–მობრძანდით, ჩემო ბატონოო გვითხრა და საკმაოდ ხმამაღლა დაიძახა:–ლადიკო! გოგუცა! -არიქა, გამოდით, გამეიტანეთ მაგიდა, უცხო სტუმრები გვესტუმრენო.

შუა ეზოში ლამაზი კოპიტის ხე იდგა. სწრაფად გამოიტანეს სუფრა, სახელდახელოდ ხილით: კარალიოკით, ყურძნით, ლეღვით და მოხარშული სიმინდით გააწყვეს. ბატონმა ლადიკომ შესანიშნავი სანთლის არაყი მოიტანა და მაგიდასთან მიგვიპატიჟა, ხოლო ქალები სწრაფად გაემართნენ სამზარეულოსაკენ სადილის მოსამზადებლად. ჩვენ კი მაგიდასთან დავსხედით. მე დავლოცე ოჯახი, ბოდიში მოვუხადე, რომ დარჩენა არ შეგვეძლო და ლეონს გადავხედე, რომელიც გაკვირვებისაგან გაოგნებული იყო და მე მას ვკითხე:–ლეონ, თქვენ იცნობთ ამ კაცს?

–რა თქმა უნდა არაო,–მიპასუხა.

ახლა ბატონ ლადიკოს ვკითხე:–თქვენ თუ იცნობთ ამ კაცს მეთქი?

–არა, არ ვიცნობ, მაგრამ კი ვიცი ვინ არისო.

–ვინ არის,–გაკვირვებულმა ვკითხე მე.

–სტუმარი გხლავთ,–მშვიდად მიპასუხა მან.

როცა ლეონს ლადიკოს სიტყვები გადავუთარგმნე, ის კიდევ უფრო გაოგნებული დარჩა.

ჩვენ დიდი ბოდიში მოვუხადეთ ოჯახის ყველა წევრს, მადლობა მოვახსენეთ, მანქანაში ჩავსხედით და უკან დაბრუნდით. ანასეულამდე ისე მოვედით, რომ გზაში ლეონს ხმა არ ამოუღია. შასტუმრომდე მივაცილე, დამშვიდობებისას უაღრესად გაკვირვებულმა მითხრა:– მე ალბათ მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი, თითქმის ყველა კონტინენტზე, მაგრამ მსგავსი რამ არსად არ მინახავსო.

–თქვენ ბედი გქონიათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხვდით და ნახეთ, რომ ჩვენ განსხვავებული ტრადიციების მატარებელი ხალხი ვართ. როცა მან სტაჟირება დაამთავრა და ბათუმის აეროპორტიდან მოსკოვში მიმავალს ვაცილებდით, ცრემლნარევი ღიმილით მითხრა:– ერთ რამეს ვთხოვ განგებას, იმდენი ძალა მომცეს, რომ, რაც აქ ვნახე და განვიცადე, გადამაცემინა ჩემი ხალხისათვისო.

კიდევ ერთი შემთხვევა მინდა მოვიგონო, რომელიც ჩვენთან პოლონეთის დელეგაციის სტუმრობის დროს მოხდა.

როცა დავამთავრე ოფიციალური ღონისძიებები და სადილად ვისხედით, მე მორიგი სადღეგრძელოთი წარმოვთქვი დიდ სამამულო ომში დაღუპულ პოლონელ მებრძოლთა შესანდობარი და ვთქვი, რომ პოლონეთი მეორე ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირის შემდეგ, რომელმაც ყველაზე დიდი ზარალი განიცადა ამ ომის გამო. როცა სადღეგრძელო დავამთავრე და დავჯექი, გვერდზე მჯდომმა ქალბატონმა საკამოდ გამართული რუსულით მითხრა, რომ თქვენ ახლა ჩემი ძმის შესანდობარი სადღეგრძელო დალიეთო.

–თუ ომში დაიკარგა, ეს სადღეგრძელო მასაც ეკუთვნის მეთქი, ვუთხარი მე.

–დიახ, იგი ომში დაიღუპა, მე კიდევ მყავს ორი ძმა და როცა დავბრუნდები, აუცილებლად ვეტყვი, რომ ჩვენი ძმის შესანდობარი დალიეს საქართველოში მეთქი.

რახან ამ ქალბატონმა ასეთი ინტერესით გამოხატა ჩვენი ტრადიციების სიკეთე, მე მას ავუხსენი, რომ ჩვენთან ასეთი წესიც არსებობს, –როცა ოჯახის რომელიმე წევრი გარდაიცვლება, იმ ოჯახში მის შესანდობარს განსაკუთრებული სასმისით სვამენ და ამ სასმისით ოჯახში სხვა სადღეგრძელო არ შეისმება. როცა ეს ავუხსენი, იქვე მაგიდიდან პატარა ყანწი ავიღე, ვაჩუქე და ვუთხარი, რომ თქვენმა ძმებმა და თქვენ, თქვენი ძმის შესანდობარი ამ სასმისით დალიეთ მეთქი. სტუმარი ქალბატონი ისე აღელდა, რომ სადილობის დამთავრებამდე ადგა მაგიდიდან და თვალცრემლიანი დაბრუნდა ავტობუსში.

გაცილების დროს მან მორიდებით გამიხმო გვერდზე და მასთან სურათის გადაღება მთხოვა.

აი, ასეთ შთაბეჭდილებებს უქმნიდა უცხოელებს ჩვენი ტრადიციები და მაგიდის წესები. სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ შესანიშნავი ქართული ცეკვები და სიმღერები ამ ტრადიციებთანაა დაკავშირებული და ჩვენმა მომავალმა თაობამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ყველაფერი ამის დაკარგვა და თუნდაც დაკნინება დაუშვებელია.

არსენ კეჭაყმაძე,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოცირებული პროფესორი.

სურათზე: ვიეტნამის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სადეგუსტაციო დარბაზში (ეს დარბაზი მხატვარ ვახტანგ მამეიშვილის მიერაა გაფორმებული).

„მერცხალი“ პლეი-ოფში

მას შემდეგ, რაც საქართველოს პირველობის I ლიგაში, ოზურგეთის „მერცხალის“უშუალო მდევარმა ჭიათურამ, გათამაშების ბოლოსწინა მატჩში თბილისის „ლოკომოტივთან“ მხოლოდ ფრეს მიაღწია, მიუხედავად ბოლო ტურის მატჩებისა („მერცხალი“ ნეიტრალურ მოედანზე ხარაგოულის „ჩხერიმელას“ შეხვდება) ოზურგეთლები II ადგილზე არიან და ბათუმის „დინამოსთან“ ერთად უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

გულით ნათქვამი

ერთმანეთისათვის განსაკუთრებული არაფერი არ გაგვიკეთებია. არც ნათესაობა გვქონია, მაგრამ რატომღაც ახლო ვიყავით ერთმანეთთან, სხვებზე მეტად ვგრძნობდი თანადგომას და მხარდაჭერას.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ შენ შენი სურვილით შეიცვალო საცხოვრებელი და გადახვიდე შენს ახლობლებთან, რაც ალბათ სიამეს მოგგვრის, და ბოლოს და ბოლოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ დარწმუნებული იყავი მურმან, რომ არ დამავიწყდება შენი სამსახურის შედეგად შეძენილი ძმაკაცების ურთიერთობა, იქ გატარებული ხალისიანი დღეები, თუმცა ხანდახან მშფოთვარე, მაგრამ მაინც კარგი. ამიტომ მადლობა შენ, ამას რომ ახერხებდი და გვაკავშირებდი ერთმანეთს!

მე პატარა, ჩემებური სტრიქონით მინდა მოგეფერო და მადლობა გითხრა.

პატივისცემით, შენი უმცროსი მეგობარი **ტრისტან სიხარულიძე.**

ეხ! მურმან ჩემო, მიდის წლები და
თან მიაქვს ჩვენი ლაღი ცხოვრება,
ჩვენ ბებერ მხრებზე უკვე ვიგრძენით
დაუძლურების მოახლოება.
მაგრამ რადგანაც სიკეთეს თესავ
არც აწინდელი გაგვიჭირდება,
სიმშვიდე გვმართებს, მხოლოდ სიმშვიდე
და მომავალიც გაგვიბრწყინდება.
ჩვენ განვლილ წლეებს ერთად ურცხვენლად
რასაც თან ახლდა ურყევი ძმობა,
კიდევ ვიაროთ, მუდამ ვიაროთ,
ვიაროთ ერთად— მაშ, გამარჯვება!

ეს რა სიმდიდრე გვქონია

სასწავლო თემატიკასთან დაკავშირებით, დავგეგმეთ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის განახლებული ექსპოზიციის მონახულება, რათა მოსმენილი ნანახით შეგვეჯერებინა. რომ არაფერი ვთქვათ გამოჩენილ ყურადღებაზე, თანამშრომელთა ერთსულოვნებასა და პროფესიონალიზმზე, რაც მუზეუმის ექსპონატების გაცნობის მანძილზე დიდი სიყვარულით მიმდინარეობდა, დავინახეთ მათი უზარმაზარი მოკრძალება თითოეული ექსპონატის, თითოეული საფხეკის, ბუნიკის თუ ხელცულის მიმართ.

როგორი მოკრძალებით,სიყვარულით ესათუთებიან თითოეულ ნივთს.

გამოფენილიდან ნათლად ჩანს გურიის წარსული. ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით, ყოფითი ცხოვრებისეული ნივთების სიმრავლე, ნუმიზმატიკური სიმდიდრის მრავალფეროვნება.

მართლაც რომ განახლებული მუზეუმი დაგხვდა. ეს რა ისტორიული განძეულის მფლობელნი ვყოფილვართ. 38 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონეს, თითქოს მუზეუმთა სიმრავლე და სიმდიდრე არ უნდა მოცებდეს, მაგრამ ეს ხომ „სალოცავ-სათაყვანო ჩემი ლამაზი გურიის" წარსულია. ალბათ ამიტომაც არ დამაყენა რაღაცამ, ეს წერილი დამაწერინა.

გმადლობთ ყველას ვინაც განაახლეთ მუზეუმის ექსპოზიცია, ვინაც გაამდიდრეთ თქვენთვის საყვარელი, მაგრამ მუზეუმისათვის უფრო აუცილებელი ნივთით.

გმადლობთ, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკს ქ-ნ მანანა მემარნიშვილს მიმზიდველად საინტერესო საუბრისათვის. მადლობა ქ-ნ ლია ლეჟავას თბილად მიღებისათვის.

იმავე დღეს მოვინახულეთ ჩვენი საყვარელი თეატრი. დავესწარით დასის რეპეტიციას.შევხვდით ბ-ნ ზაზა ჯინჭარაძეს, ჩვენს საყვარელ ბელა მასწავლებელს,ქ-ნ ხათუნა გეგიაძეს, რომლებმაც ძალიან თბილად მიგვიღეს.

შთაბეჭდილებით დატვირთულნი და აღფრთოვანებულნი ვართ. ეს რა თბილი და გულისხმიერი ხალხი შემოგვხვდა. ნეტავი ჩვენს გარშემო სულ ასეთი ატმოსფერო იყოს.

გ. გიორგაძე

შემოქმედის საჯარო სკოლის VII კლასელთა თხოვნით
(ისტორიის მასწავლებელი)

ნიკუშა მახარაძის გახსენება

ვაი იმ დედას, რომელსაც შვილის გახსენება დაუწესა სასტიკმა ბედმა.

მეოთხე წელია, მარტის მოსვლა იარებს უმწვავებს, ყოველდღიურ ზრუნვა-განსაცდელში განივთებულ ტკივილს ახალი ძალით უღვიძებს შენს უბედურ მშობლებს.

არადა, როგორ გვიყვარდა ეს თვე!

მარტის თვეში ღმერთმა გვიბოძა ქალიშვილი, შენი უფროსი და, ახლა შენზე მგლოვიარე და დამწუხრებული, შენი მაცაცო. მარტში უფალმა მოგვივლინა შენი ბოლოლა ბიჭი საბა, რომელსაც ანთებული სანთელივით შევყურებთ.

მარტმა ბევრი სიხარული მოგვიტანა, მაგრამ მარტმა სამუდამო გლოვისთვისაც გაგვწირა.

ამ თვემ სიკვდილის განაჩენი გამოგიტანა შენ, ჩვენ კი, სანამ ცოცხალი ვიქნებით, გლოვა, მონატრება, ლოცვა, ცრემლი დაგვრჩა ნუგეშად, თუმც ნუგეშს მაინც ვერსად ვპოვებთ. ესაა, ცხოვრება თავისას მოითხოვს, შენს პატარა საბას და ახალგაზრდობაში დაქვრივებულ, ზნეკეთილ მეუღლეს, გვერდით ვუდგევართ ამ გაუსაძლის ყოფაში.

სხვაგან სად უნდა ნახოს ადამიანმა დედაშენი, მამაშენი და შენი მეუღლე, თუ არა შენს საფლავზე!

ვაი, რომ ვერაფერს გშველით!

ოთხმა წელმა მკაცრი, სასტიკი გაკვეთილი ჩაგვიტარა...

შენი სულისთვის ვლოცულობთ, თავად კი ველოდოთ, ველოდოთ როდის ინებებს უფალი ჩვენს შეხვედრას იმ ქვეყნად. ეს გვასულდგმულებს მხოლოდ.

კიდევ ერთი გაზაფხული მოგვილოცავს შენთვის, ჩემო ლამაზო, ცისფერთვალება ბიჭო, დედამამის დაუცხრომელო ტკივილო და მონატრებავ.

ნათელში გამყოფოს მამაზეციერმა. შენს ნაცვლად შენი სახელით შენივე შვილები ივლიან ამ მიწაზე. ივლიან და არასოდეს დაივიწყებენ უდროოდ დაღუპულ მამას. მათ მომავალი გაუმკრთალებს ამ მწუხარებას. მხოლოდ შენი მშობლები ვიარსებებთ წარსულის მოგონებებით, რადგან უშენოდ მომავალი მხოლოდ ტკივილით და მწუხარებითაა სავსე.

ამქვეყნად თუ იმიერსოფელს, უსაშველოდ გვიყვარხარ და გვენატრები...ასე იქნება, ვიდრე პირში სული გვიდგას, ვილოცებთ შენთვის და სანთლებს დაგინთებთ კვლავაც და კვლავაც.

შენი **ოჯახი.**

პრობლემები გაქვთ დასუფთავებასთან დაკავშირებით? დარეკეთ:
27 44 67;
(595)30 50 58.
ოზურგეთის დასუფთავების სამსახური.

რენო ურუშაძე



გარდაიცვალა დამსახურებული ენერგეტიკოსი, შპს სააქციო საზოგადოება „ეკა, საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციის“ დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, შესანიშნავი მოქალაქე და მეგობარი რენო ურუშაძე.

რენო ურუშაძე იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც ბავშვობაში მოუწია ომის სიმძიმე, ამ ომში საუკეთესო მამისა და ახლობლების დაკარგვით მიღებული ტკივილი.

1949 წელს წარმატებით დაამთავრა ქ. ოზურგეთის №1 ვაჟთა სკოლა და მისაღები გამოცდები ჩაბარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თავისი სპეციალობით მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში, ქ. იაროსლავში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ბჟუჟესზე იწყებს მუშაობას, გამოცდილ ენერგეტიკოსთან, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერთან, საუკეთესო ხელოვანთან და უდიდეს პიროვნებასთან გიორგი სალუქვაძესთან. მან აქ, გიორგისთან, შუქრი გოგელიათან ენერგეტიკის უკეთ შესწავლის დიდი სკოლა გაიარა.

ბატონ რენოს ნიჭი და უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი ქ. ოზურგეთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. შემდეგ წლების განმავლობაში იყო ოზურგეთის ელქსელების დირექტორი.

1994 წელს შეიქმნა შპს სააქციო საზოგადოება „ბჟუჟესი,“ რომელსაც შემდგომ ბატონი რენო ჩაუდგა სათავეში. იყო ამ საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ეს ორგანიზაცია შემდგომში შპს სააქციო საზოგადოება „ეკა, საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციად“ ჩამოყალიბდა. რენო ურუშაძეს დიდი წვლილი მიუძღვის მდინარე კალუას მდინარე ბჟუჟზე, ჰესის სათავე წყალსაცავთან შეერთების პროექტში, რითაც ბჟუჟესის სიმძლავრე ერთი მეგავატით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ბატონ რენოს გვერდით იდგნენ მისი საუკეთესო მეგობრები, აწ გარდაცვლილები: გამოცდილი ინჟინერი, სააქციო საზოგადოება „ბჟუჟესის“პირველი დირექტორი გურამ ბურჭულაძე, კვალიფიციური სპეციალისტები ილია თოდრაძე, ნოდარ მახარაძე.(ამ უკანასკნელის დაკრძალვას იგი ძმიმე ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო).

რენო ურუშაძე ბუნების დიდი ქომაგი იყო. საუკეთესო მებადურს, ბჟუჟესზე ბუნებრივ პირობებში ჰყავდა მოშენებული კალმახი. იგი იყო გაჭირვებულის დამხმარე და ქომაგი. სპეციალურად დადიოდა ოჯახებში დახმარების გასაწევად.

ძალიან ლამაზი ოჯახი ჰქონდა. მეუღლე, შვილები მათი ოჯახებით საზოგადოების ღირსეული წევრები არიან.

ვაჟმა ლევანმა მამის გზა გაიმეორა და ისიც ქ. ოზურგეთის მერად იყო არჩეული.

წავიდა ჩვენგან დიდი მეგობარი, კარგი ადამიანი, რომლის ხსოვნა მარად იქნება ჩვენს გულებში.

შპს სს „ეკა, საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია.“

სურათზე: რენო ურუშაძე, შუქრი გოგელია

გაზეთ „ალიონის“რედაქცია თანაუგრძნობს გაზეთის ყოფილ ფოტოკორესპონდენტს გიგლა გიორგაძეს შვილის **დათო გიორგაძის** გარდაცვალების გამო.

ზურიკო ქავთარაძე იუწყება **რენო ურუშაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

არსენ კეჭაყმაძე, მურმან დუნდუა, ბადრი ინგოროყვა, ნუგზარ ასათიანი თანაუგრძნობენ ქალბატონ სულიკო ბუკიას ძმის **თენგიზის** გარდაცვალების გამო.

დედა ამალია, დისშვილები მარი, თალიკო, დათო; სიძე რაჟიკო მჟავია; დეიდა ელიკო ჩხენკელი, ბიძა ნოდარ დონაძე ოჯახებით იუწყებიან **მერაბ რეზოს ძე დონაძის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა 15. 03, სოფ. თხინვალში.

ქირავდება
200 კვ. მეტრი
საოფისე ფართი,
ქალაქის ცენტრში
დაგვიკავშირდით:
(599) 55 56 84

იყიდება
კაპიტალური სახლი
მაღალ ბელეტაჟზე.
ფასი შეთანხმებით.
მისამართი: ქ.
ოზურგეთი,
ჯავახიშვილის
II შეს. №2.
დარეკეთ:
(593) 75 34 69.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru